



თბილისის სააპელაციო სასამართლო გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №2ბ/798-11

4 აპრილი, 2011 წ.

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე.

აპელანტი – ზურაბ სარალიძე

მოწინააღმდეგე მხარე – მამუკა აკოფაშვილი

დავის საგანი – თანხის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება

კალატამ გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზურაბ სარალიძის სარჩელი მამუკა აკოფაშვილის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ზურაბ სარალიძემ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, რომლითაც სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება სრულად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში და დაინიშნა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით, 2011 წლის 6 აპრილს 10:00 საათზე.

2011 წლის 6 აპრილს საქმის განხილვა ვერ შედგა მოწინააღმდეგე მხარის მამუკა აკოფაშვილის მიმართ სასამართლო უწყებისა და სააპელაციო საჩივრის ჩაუბარებლობის გამო.

სააპელაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მოპასუხე მამუკა აკოფაშვილს საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, ასევე, რამოდენიმეჯერ გაეგზავნა უწყება, მაგრამ ჩაბარება ვერ მოხერხდა. აღნიშნულის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მიერ 2010 წლის 12 იანვარს მიღებული იქნა განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან, მოწინააღმდეგე მხარისათვის მამუკა აკოფაშვილისათვის უწყებისა და სააპელაციო საჩივრის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, პალატა თვლის, რომ მას საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს სასამართლო სხდომის დღის შესახებ და ამავე საშუალებით უნდა ჩაბარდეს სააპელაციო საჩივრი.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 78-ე, 390-ე, მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ეცნობოს მამუკა აკოფაშვილს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №28/798-11 ზურაბ სარალიძის სააპელაციო საჩივრისა გამო, მოწინააღმდეგე მხარე – მამუკა აკოფაშვილი, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.
2. ეცნობოს მამუკა აკოფაშვილს, რომ სასამართლო სხდომა დანიშნულია 2011 წლის 27 აპრილს 13:00 საათზე. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა, დარბაზი №13).
3. მოწინააღმდეგე მხარეს ეცნობოს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: აპელანტის განმარტებით, 1994 წლის 08 აგვისტოს საფინანსო კომპანია „კაპიტალინვესტსა“ და ზურა სარალიძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება №002432, რომლის

საფუძველზეც ზურაბ სარალიძემ „კაპიტალინვესტში“ შეიტანა 500 (ხუთასი) აშშ დოლარი 3 თვის ვადით, სათანადო დავალიანების ანაზღაურებით, შეუსრულებლობის შემთხვევაში წლიური 288% სარგებლის გაცემით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სკ „კაპიტალინვესტის“ დირექტორს მამუკა აკოფაშვილს ზურაბ სარალიძის სასარგებლოდ დაეკისრა 9140 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება. სკ „კაპიტალინვესტის“ სამართალმემკვიდრეა სს „კაპიტალინვესტი I“. სკ „კაპიტალინვესტის“ მენაბრეების სახსრებით ქ. თბილისში, დაღმაშენებლის გამზირი №117-ში 1994 წელს შეძენილ იქნა ფართი, რომელიც დღეის მდგომერეობით აღრიცხულია სს „კაპიტალინვესტი I“-ის საკუთრებად და თანასაკუთრებად. ზურაბ სარალიძის განმარტებით მას, 9140 აშშ დოლარის მიუღებლობის გამო, მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ისესხა 6000 აშშ დოლარი, ყოველთვიურად 5%-ის გადახდის პირობით, იმ იმედით, რომ მას გადაიხდიდა მის სასარგებლოდ დაკისრებულ თანხის საშუალებით. იმის გამო რომ დროულად ვერ გადაიხადა სესხი, მიდგა მატერიალური ზიანი. აპელანტის განმარტებით ზიანის ოდენობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 26 030 აშშ დოლარს, რომელიც სოლიდარულად უნდა გადაიხადოს საფინანსო კომპანია „კაპიტალინვესტის“ ყოფილმა დირექტორმა მამუკა აკოფაშვილმა და საფინანსო კომპანია „კაპიტალინვესტის“ სამართალმემკვიდრემ სს „კაპიტალინვესტ-1“-მა. აპელანტის მოსაზრებით, გადაწყვეტილება არ არის იურიდუილად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველია.

4. მოწინააღმდეგე მხარეს განემარტოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით უნდა შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე და წარუდგინოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.
5. განემარტოს მამუკა აკოფაშვილს, რომ სასამართლო უწება და სააპელაციო საჩივარი მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
7. განჩინებაზე კერძო საჩივრის წარდგენა არ დაიშვება.

მოსამართლე:

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი